

140
1965

6

1965

საბავშვო
საბავშვო

ს
ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ
ცძ
ცწ
ცჭ
ცხ
ცყ
ცშ
ცჩ
ცცხ
ცცვ
ცცძ
ცცწ
ცცჭ
ცცხ
ცცყ
ცცშ
ცცჩ





იუმს
სა
წინააღმდეგობრივი
ბრძოლისათვის

წინააღმდეგობა!

აკვანში გაბმით ღუღუნებს ჩვილი, აკვანზე თითქოს მტრედები სხედან; წაშვამებს ფრთები ეხება ძილის და ჩვილი ძილშიც უცინის დედას.

და დედა, როგორც ცისკარი მშვიდი, ანთია თეთრად და „ნანას“ მღერის; ფრთხილგზებზე გულში იმედის ჩიტი, ბრიალებს სულში სინათლის ჩქერი.

და... ვხედავ: მიპქრის, მიფრინავს ქამი, დღეები—დღეებს, წელი—წელს მისდევს... იზრდება ბავშვი დღისით და ღამით, იშლება თავაწვინ ფერადი სივრცე.

იზრდება ბავშვი... და ფანქრით, ცარციით ხატავს ჩიტებს, ყვავილებს და მზეს... და მზე, ვითარცა კეთილი კაცი, ემაწვილს ღიმილით დაჰხარის თავზე.

ციცი,—ბოლომდე ამაყს და მართალს, გაყვება მარად სიღალე მერცხლის, ჩარჩება სულში სურნელი ვარდთა, მზით ბოძებულ დეთიური ცეცხლი.

და ეყვარება ყველაზე მძაფრად სამშობლო მხარის ბარი და მთები, და ეყოლება ურიცხვი და-ძმა აქაც და იქაც—გადაღმა ზღვების;

ოღონდ ცა იყოს სულ ასე წყნარი, იყოს პერი სულ ასე სუფთა, და მიწის მკერდი ღურჯით და მწვანით, მწვანით და ღურჯით ელაგდეს მუღამ:

და ყველა დედა, რიქარაის მსგავსად ენთოს სულ თეთრად და მხოლოდ თეთრად და კიდი-კიდე უტკბოდეს პანგად ისმოდეს ყრბათა გულგინის ფეთქება.

სიმონ შაშვიანი.

გუგუნი გუგუნი!



კოლიატენკომ სიტყვა წაითქვა და დროშა პიონერთა რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს ნ. გურგენიძეს გადასცა.

შეკრების მეორე დღეს, 20 მაისს, რაზმელები ლენინური დათავლებების პირველი წლის შედეგებზე პატაკობდნენ. მედეა და მისი ახანაგები პიონერთა სასალუს ეწვივნენ და მშვიდობის პიონერული მარშის მონაწილეთა შეკრებას დაესწრნენ. აქ მოვიდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ჩერქეზია, კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ს. ხაბიშვილი, 26 კომისიის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი მ. გვერდნიძე, თბილისის პიონერთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის საპატრო თავმჯდომარე, დოცენტი ი. ტაბალა, 26 კომისიის რაიონის პიონერები, დელეგატები ახალციხიდან, გორიდან, ზესტაფონიდან, ლანჩხუთიდან, სტუმრები უნგრეთიდან, რუმინეთიდან, ბაქოიდან...

სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი 400 პიონერი მოემართება სასახლის ულამაზესი ბაღისაკენ. ტრიბუნად იქცა მწვენიში ჩაედული აივანი. სიტყვებს ამბობენ უფროსები, პიონერები, თანატოლებს მიესალმა ახალქალაქელი პიონერი რ. მიქეაბიშვილი, ზესტაფონელი ა. მიქაბერიძე, აზერბაიჯანელი ზახრა აბულევა. რუმინელი ტოცის



სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ პიონერებს მოეყარათ თავი!..

მეორე დღით, 19 მაისს, აღრიანად მოვიდნენ მანქანები, ჩასხდნენ წითელკლასიანები და თბილისის ზღვისკენ გაუტყეს...

„შრომითი დესანტი“ შეუდგა თავის საქმეს — მეგობრობის პიონერული ხეივანი გაშენებას.

— ჩემს სიცოცხლეში ორი ხე დავრგე, — ამბობს მედეა, — ჩვენს ეზოში — ბალი, ახლა კი — ნაძვი. ბალი წელს აყვავდა, ალბათ ნაძვიც გაიხარებს.

— ყველაზე მეტად რამ მოგობობა შეკრების დღეებში?

— ყველაფერმა...

— მაინც?

— წარმატცი იყო პიონერული აღლუმი და ხაზი ლენინის მოედანზე. ახლაც თვალწინ მიდგას მწყობარში ჩამდგარი პიონერები ფერადი ყვლასახვევებითა და პილოტურებით, დათვალეობების ემბლემებით, ნაირნაირი მაკეტებითა და დროშებით. კიდელ უფრო ლამაზი სანახავი იყო აღლუმის დასაწყისი — წითელ-ყვითელი ბუმბუცი და თეთრი მტრედები რომ ააფრინეს...

— რა შესანიშნავად პატაკობდნენ მორაგებები, — თქვა ბოლოს მედეამ და სახეიზო ხაზის პასუხისმგებელ მორაგეს ლევან კილასონიას შეახატა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავ-

მჯდომარემ ნ. გურგენიძემ დაავალა ლევანს ეს საპატრო საქმე. ყმაწვილმა ნიშნა გაამართლა.

სავერი ყურადღებისაყენ მოუწოდებს. პასუხისმგებელი მორაგე განკარგულებას იძლევა:

— სწორდით! სმენა! მოემზადეთ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური დროშის შემოსატანად!

ყველანი გავინაბეთ, ორკესტრის მარშზე მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ მედროშე და მისი თანმხლებნი, დროშა სახეიზოდ შემობატარეს და ტრიბუნასთან შედგნენ...

მედლას ყურადღებით მოუსმენია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. გურგენიძის, ძველი კომკავშირის ფ. გეგეშიძის, ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ვ. პაპინაშვილის, სტუმარი თანატოლების ვ. პეტროვის (ლენინგრადი) და ი. მხითარაიანის (სომხეთი) სიტყვები.

— ელისაბულები გვეტყინა ტამისაგან, ამიერკავკასიის, სამხედრო ოლქის წარმომადგენლები რომ გამოჩნდნენ. მათ ჩვენთვის, საქართველოს პიონერებისათვის, საჩუქრად საბაროლო დროშა მოჰქონდით — ამბობს თვალმეგაბარწყინებული მედეა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანამეგმემ კომკავშირის დარგში ვ.

ფლარკა და ჩვენი ნაცნობი—მედეა კობლიანიძე.

მედეა გორის IV საშუალო სკოლის პიონერთა სახელთი ბავშვების ულოცავს პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს, მოუთხრობს მათ იმ მიღწევებზე, რაც მისმა სკოლამ მოიპოვა ლენინური დათვალერების პირველ წელს.

— რაზემუღში შეგქმენით საყოველთაო სწავლების საფუძვლი, „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები“, „პიონერული ფარანი“, ვიბრძოდით, რომ არ გვეყოლოდა ზარბაძე და ჩამორჩენილი.

შემდეგ დაწვრილებით მოუთხრობს იმაზე, თუ როგორ მოაწყვეს სამამულო ომში დაღუპულთა სტენდები, როგორ ესტუმრნენ 9 მაისს ძმთა სასაფლაოს და თიუგულებით შეამკეს იგი. როგორ შექმნეს სკოლაში ინტერნაციონალური მეგობრობის კულები...

თანატოლებმა ტაშით შეაქეს მედეას სიტყვა.

მედეას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ზაბეიშვილმა გამოაცხადა, რომ დათვალერების პირველ წელს გაიმარჯვა პიონერთა გორის საქალაქო საბჭომ, და დელეგაციის წარმომადგენელს სიგელი გადასცა.

შემდეგ გაიმართა სახელდახელო კონკერტი — ცეკვები, სიმღერები...

პიონერთა სასახლეში მედეა პირველად იყო და ცხოებისმოყვარეობით ათავალერებდა მის ყოველ კუნძულს—კაბინებს, ლაბორატორიებს...

... საღებ მოხიბლა სარკეებისა და დარბაზმა.

მედეამ შეიტყო, რომ სხვაგანაც ასევე წარმატებით ჩატარებულა ლენინური დათვალერების პირველი წლის ფინიშიშიში მიძღვნილი შეკრებები: ლენინის სახელობის ელშვალმშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც პაპინაშვილი ხელმძღვანელობს, „შრომის პიონერული ვახტის“ მონაწილენი მიიწვიეს; გაუმარჯვინათ თბილისის 118ე 114ე და მე-15 სკოლების პიონერულ რაზმეულებს. საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. გურგენიძეს მათთვის სიგელები გადაუცია.

„შეურიგებელთა“ რეიდის მონაწილენი კიოივის სახელობის კულტურის სახლში მისულან, ხოლო „ლენინის ანდერძის მიმდევარნი“ ზაქესში ყოფილან, შემდეგ კი თბილისის პიონერთა პარკში მოუყრიათ თავი. „ბუთი რგოლის მცირე ოლიმპიადის“ მონაწილენებს ფიჯკულტურის ინსტიტუტში ჩაუტარებიათ თავიანთი შეკრება, „საბრძოლო დიდების“ მოლაშქრენი კი თბილისის ოფიერთა სახლს სწევია.

დელეგატები თბილისის ღირსშესანიშნაობათა დასათვალერებლად მიემართებია. მედეა თბილისში პირველად კი არ იყო, მაგრამ ასე კარგად დედაქალაქი მხოლოდ ახლა გაიცნო.

საღამოთი ყველანი სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ საღამო-კონცერტის ჩასატარებლად — „პატარს ვა-

ბარებთ ხალხს და მათი პიონერული ბლივის პიონერობის ენაზემუღი ტით სკოლებმა პიონერული კუპები შეკრებებზე დაიწყეს. მონაწილენი კომიტეტის პირველი მდივანი იყოფათ ო. ჩერქეზია, ხოლო, საბჭოთა მოღვაწეპირული, კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები კველი ბოლშევიკები, წითლები, საფეთქეთეს მუშები, შეკრებებზე და კულტურის მოღვაწეები უფროსკლასელები.

სახლში მარშის ხმაზე დაიწყო შემოქრანეს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ცეკვები.

შეკრების მონაწილენს მიესალმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია.

კონცერტმა მოხიბლა მედეაც და მისი თანატოლებიც.

ასე დასრულდა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პიონერთა შეკრება, რომელსაც მმდინარეობდა 19-20 მაისს. 21 მაისს დელეგატები შინსიკენ გაემგზავრენ.

წელს ბევრს სიხალეს ეზიარა მედეა. მეთოხვეკლასელი მოწინავე პიონერი პირველად ჩაბარებს გამოცდებს; არ ეშინია, გულმარად და მხნე ხედება გამოცდებს, — თავის იმედი აქვს!

ნონა ნორაკიძე.

ფოტო ვ. ზინდერისა.



ლი მზრიდან შემოვიყვინე კინოს გმირები, ისინი დარბოდნენ, ხტოდნენ, კამათობდნენ, რაღაცა უნებდნენ, რაღაცა აფეთქდნენ, ტროდნენ, იცინოდნენ... პეტკამ ვერ გაუშლო ამ ორომტრიალს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰყურებდა. მაგრამ ნურას უკაცრავად, უცერად ერთ-ერთი ფილმის გმირი მილიციელი წამოვიწია.

— რატომ გადაირბინე ქუჩა იქ, სადაც გადასასვლელი არ არის, — უყვირა მან პეტკას, — კინალამ ავტობუსმა გაგიტანა!

პეტკამ სცადა გასხტომოდა, მაგრამ მილიციელს მაგრად ჩაეღლო მისთვის ხელი. შემინდა პეტკა: ნამდვილი მილიციელი რომ ყოფილიყო, — კიდევ ზო, — ეს ხომ ფილმის გმირი იყო! პეტკა გაძლიანდა; აყვირდა... მას ირგავივე ხალხმა მოიყარა თავი, ყველა კინოს გმირები იყვნენ.

— რა მოუვიდა ამ ბიჭუნას? — იკითხა ერთმა დედაბარმა, რომელიღაც ფილმში მილიციელი, — ბენდიანი ხომ არაა?

— ჩვეულებრივი ხულიგანია, — თქვა ზოში ხშირ შლიაპინმა კაცმა.

— ახლავე — მილიციისში არ უნდა ამას შევიჩლიო!

— ვერ უყურებთ, რა ალიაქობი ატება!

ყველა ერთად ალაპარაკდა:

— შეხეთ, ძლივსა სუნთქავს.

— სახე სულ აუჭრელია.

— ხელიდან უკაცრავადებს.

— „სასწრაფო დახმარებას“ გამოვუძახო...

ათ წუთში „სასწრაფო დახმარებას“ მოვიდა, დადებანელი პეტკა საკაცუნე დააწვინეს, მანქანაში შეიტანეს და „სასწრაფო დახმარებას“ ადგილს მოსწყდა.

მხოლოდ მანქანაში მოვიდა გონს. მიხვდა, რომ ისევ წამლებთან და ექიმებთან ექნებოდა საქმე.

— უცებ თავში გაუთღვა: „ქაღოქრობა, მხოლოდ ქაღოქრობა მიშველის“.

„სასწრაფო დახმარების“ მძღოლმა დღესაც არ იცის, რა მოუვიდა მის მანქანას იმ საღამოს: ზედ სავადმუყოფოსთან, მთელი სიჩქარით მიმავალმა, უცერად მოუხვია და თავისით გაქანდა, ორდინის ქუჩაზე ერთ სახლთან გაჩერდა, მანქანის კარი თავისით გაიღო, საკაცუნე შწოლიარე ბიჭუნა ელვისებურად გადმოხტა და „სასწრაფო დახმარებას“ კვლავ სავადმუყოფოსაკენ გაბრუნდა.

პეტკა კი...

და ისევ დაიწყო სკოლაში ყოველდღე სიარული. გაკეთილებზე ისევ მოწყენილი იქნა. ერთხელ კი ყველა ძალზე გააოცა: საზეიმო დილის შემდეგ საინტერესო კინოსურათი უჩვენებდნენ. პეტკამ უარი თქვა მის ნახვაზე, — თქვენ უყურეთ, მე კინო-ფილმებით აი, ასე ვარ, ყულამდე, — განაცხადა მან.

ერთ დღეს ბიჭებმა ტურნირი მოაწყვეს შაშხი. პეტკაც ჩაეწერა. შაშხი იგი ყოველთვის კარგად თამაშობდა. მაგრამ ამჯერად პირველი პარტია მოუგეს, მოუგეს მეორეც, მესამესაც აგებდა. პეტკა ფიქრს გადააჩვეოდა. „შეშფოთდა ბიჭი, გადაწყვიტა კვლავ ქაღოქრობისთვის მიემართა...“ და უცერად, ყველას გასაკვირად, მესამე პარტია მოიგო. შემდეგ კიდევ მოიგო და ჩემპიონი გახდა. მას სპორტული პრიზიც კი გადასცეს. პეტკამ მხოლოდ ცხვირში წაიჭმუტუნა, პრიზი იღლაში ამოიჩარა და იქაურობას გაეცალა.

— იბღინებდა, — გაიფიქრეს ბიჭებმა.

მაგრამ პეტკა სულაც არ ფიქრობდა გაბღინებას. იმ წუთიდან, რა წუთსაც ქაღოქრობა მოიშველია, მან უკვე იცოდა, რომ ჩემპიონი გახლებოდა. მაღლ მისთვის თამაშმა დაკარგა ყოველგვარი აზრი. „დადისკვამენ შაშხის ქვებს და... შენც აიყვანე და აიყვანე“.

სულ დაუძმარდა პეტკას გუნება. ყველა რაღაცას აკეთებს, რაღაცას ცდილობს, სადაც მიიჩქარის. თვითონ კი, რასაც მოისურვებს, ყველაზე ადრე უსრულდება. რა აზრი აქვს სხვით ცხოვრებას!


ნაწილი მიღრა,

სადაც

ცოტა რაბაა

არჩავეულებრივი

რა კარგია, რომ დაწამორდა. პეტკა თხილამურებით დადის, ცივურებით სრიალებს, თითქოს გახალისდა ცხოვრება. ერთხელ, სკოლაში რომ



მივიდა, კედელზე ასეთი განცხადება იყო გაკრული: „უსრულდება!! მე-4 — 7 კლასების საპორტსმენებო, შესდგეით და წაიკითხეთ!“

კვირას, „იზმაილოვოს“ პარკში ჩატარდება სათხილამურო შეჯიბრება. შეჯიბრში მონაწილეობს რაიონის ათი სკოლა. თითოეული კლასიდან გამოყავთ გუნდი ხუთ-ხუთი კაცის შემადგენლობით.“

პეტკას გაეხარა. მას მიიღებენ გუნდში. იგი კარგი სათხილამურეა. ეს ყველა იცის.

მართლაც, შესარჩევ შეჯიბრებზე პეტკა ვორბოცოვმა თავი გამოიჩინა (თანაც, ყოველგვარი ქაღოქრობის გარეშე) და იგი მამინვე ჩარიცხეს კლასის ნაკრებში.

კვირას „იზმაილოვოში“ დიდძალი ხალხი მოკრავდა. აქ იყვნენ მოთხილამურეებიც, მანქანებიც, გულშემბატკიერებიც; ყველაზე დიდგუნდენ, რა თქმა უნდა, პეტკაც ღელავდა. იგი პირველად რად მონაწილეობდა შეჯიბრებაში, პეტკა ფომინსა და ვასია ჩისნოკოვზე სწუხდა: — ახალბედები არიან და ვაითუ ჩააგდონ გუნდში.

ბიჭებთან ფიჭუტულტორის მასწავლებელი აქიმ პეტროვიჩი მივიდა. მას ხელში წამწვინი ეჭრა.

— ბიჭებო, თქვენ ხუთ კილომეტრზე ირბენთ.

— ხუთ კილომეტრზე?! — შეერთავსა ჩისნოკოვი.

— მაიცილე. ეს — მეშვიდეკლასელები ვარბიან ხუთს, თქვენ კი სამ კილომეტრს ვაირბენთ. სათხილამურო ტრასა მღმებით არის აღნიშნული. იგი წრებს აკეთებს და აგერ, იმ ტყეში გადის. ყველაფერი გასაგებია?



ბა. თუ დაიღლები, იარკ ნელა, ნუ გადაუხვევ ტრასადან, ნუ ჩაგადებ შენს გუნდს. უნინოშან ხუთიგენი უნდა მიხვიდეთ, თორემ მსაჩები გუნდის შედეგს არც კი იანგარიშებენ.

შემდეგ მასწავლებელმა გოგონებს დაუბანა:

— აბა, გულშემატკივრებო, შეუდექით საქმეს, — ღა გოგონებს თერთი ქსოვილის დანომრილი ნაჭრები დაურია. გოგონები (მათ შორის — სამაგელი ნიკა ტიმოფევიც) ბიჭების მკერდსა და ზურგზე ნომრების დაკრების შეუღდენ.

— შენ რა, უნომროდ აპირებ გარ-

გაბედედ და კიდევ მიჩხვლიტუნომერი რა, ჩვეულებრივი ნომერია...

— როგორ, „ოცდათერთმეტი“ ჩვეულებრივია? შენ ცამეტ რიცხვზე გავიგონება რამე?

— ეს ყველაფერი ცრუმორწმუნეობაა, — ჩაილაპარაკა პეტკამ, მაგრამ მერე დაფიქრდა და ჰკითხა:

— რა შუაშია აქ „ოცდათერთმეტი“?

ნიკამ კბილით გაკვნითა და ეშმაკურად შეხედა პეტკას.

— შენ ხომ ცაცია ხარ, ცაცია... მასხალადმე, შენთვის „ოცდათერთმეტი“ თარსი რიცხვია. ვაითუ სულ ბოლოს მოხვედდი — მან ოდნავ უჩხვლიტა პეტკას, გაიცინა და გაიქცა.

...როგორც იქნა, მეოთხე „ქალასის გუნდიც გამოძახეს სტარტზე. ტრასაზე ყველაში ერთბაშად კარ გაუშვიათ, აჩაბედ თითო-თითოდ, ყოველი წუთის შემდეგ.

— პირველი გავა ვორობიოვი, — განაცხადა აქიმ პეტროვიჩმა.

პეტკა მიეწვინა.

მასწავლებელმა ალამი დაიწინა და დაუყვირა: „იარკ!“ პეტკა აღგონს მოსწყდა, რამდენჯერმე მაგრად დააწვა ჩოხებს და სიჩქარეს მოუმატა. რბილად გასრიალდნენ თბილამურები თოვლზე. მზე აღერსანად იჭვირიტებოდა ხეოა შტოებსში. ებ, რა კარგია ცისფერ ტრასაზე სრბოლა!

პეტკას იჩვენება, რომ ყოველი შემხვედრი ალამი ებახის და აქეზებს მას: „ჩქარა, ჩქარა ჩემსკრეს მოუმატა!“ პეტკამ გაუსწრო ერთ მოთხილამურს, მეორეს... აი, დაღმართიც, პეტკა ოდნავ მოიხარა. ყურებში ქარი აწივლდა. გაიიღეს ბეჭმა და ბუჩქებმა. მოსახვევთან პეტკას სიჩქარე არც კი შეუწელებია. დაღმართი ახლა უფრო ციცაბო გახდა. პეტკა მიმჭროდა და მიმჭროდა ცისფერ ტრასაზე.

პეტკამ უკან მიიხედა, — მოსახვევთან მოთხილამურები მოტრიალებიხის საყმაო ღრს კარგადნენ.

და აი, უკანასკნელი სწორი ბილიკი! მაგრამ პეტკა უკვე დაიღვინა მან ხომ სულ ახლახან გაუსწრო დაღმართზე კიდევ სამ მოთხილამურს. ახლა შეიძლება უფრო ნელა იაროს, ცტა სული მოითქვას. მაგრამ ეს ხომ მას, პეტკას, უყვირებს და უქნევინ ბელებს! არა, არ შეიძლება სვლის შეწყობა. და პეტკა კვლავ მთელი ძალით აწვება ჩოხებს. აბა, ფინისციკ პეტკას ყველანი გახს ებ-

— ყველაფერი.
ჩვენ მალე გავალთ? — ჰკითხა ფომინმა.

— თქვენ ბოლოს გახვალთ. კიდევ მოგაკონებთ: ტრასა აღნიშნულია აღმებით. იგილი მხოლოდ ტრასაზე. მოსახვევებთან მსაჩები დგანან და ინიშნავენ — ყველამ სწორად გაიარა თუ არა. საყარისია, რომელიმე დაარღვიოს დისტანცია, რომ მთელი გუნდის ნაშრომი წყალში ჩაიყაროს. გახსოვდეთ, შეჯიბრება გუნდურია. მასხალადმე, შედეგიც საერთო იქნე-

ბენას? — მოემა პეტკას ნინკას ხმა, — მირი აქ!

პეტკამ ყოველნით ვადაღა ნაბიჯი და გაჩრდა.

— მოდი, მოდი ნუ გეწინია, არ გაიჩხვლებ.

ნიკამ თითქმის შესარულა თავისი სიტყვა — მხოლოდ ორჯერ უჩხვლიტა. პირველ ჩხვეტაზე ბოდიში მოუხება, მეორეზე კი უთხრა:

— რას წრიალებს! იქნებ იმისა გეწინია, რომ თარსი ნომერი შეგხვდა.

— შენ დაკერება არ გცოდნია. აბა,



ვივინა, უღიმინ. აქ-
ვენიცა ტილოფე-
ვა. ისიც უცივის და
ხელს უტყაუნებს
მხარზე. პეტკა სა-
კუთარ თვალებს არ
უჭერის. ყველანი
რალაცას ლაპარაკობენ, რალაცას გვი-
თხებიან.

— ყოჩაღ, პეტკა, მაგრა მოდიო-
ლი!

— დილაღე, არა?
— პეტკა, ხომ არ წაქცეულხარ?
— კი, მაგრამ... აკიმ პეტროვიჩი
სადაღა?

— აი, ისიც, მან ჭერ სხვა მსახიბ-
თან მიიჩინა, დააქტერდა მათ წამ-
შიომობს, — მერე კი პეტკასეენ გა-
მოქანდა.

— მაშ ასე, პეტკა: — ამხობს იგი
და პეტკას ეხვევა, — მომილოცავს
საუფრთხოს დრო აჩვენე. უფროს-
კლასიელებსაც აჯობე.

უეცრად პეტკას ხელი სტაცეს და
რამდენჯერმე ჰაერში აისროლეს.
ირგავიე ყველანი იცინოდნენ. პეტ-
კა იღვა და თავისი თავი ყველაზე
ბედნიერი კაცი ეგონა.

ფინიზთან კიდევ პეტკას ორი თანა-
გუნდელი მოვიდა. მათაც კარგი დრო
აჩვენეს. საერთო შედეგით პეტკას
გუნდს წინ უსწრებდა ყველა დანარ-
ჩენ გუნდს. ახლა ფომინსა და ვასია
ჩენსოვსადა ელვოდნენ.

— ბიჭებო! „ოკლამეთოთხმე-
ტა“ მოდის ეს ფომინია!

ფომინი პეტკასავით მსუბუქად
და მოხლებლად ვერ მოდიოდა,
მაგრამ მასაც მხიარული ყუინით
შეხვდნენ. ფომინის შედეგი ვერ იყო
ისე სახარბილო, როგორც გუნდის
სხვა წევრებისა, მაგრამ აკიმ პეტრო-
ვიჩმა გამხნევა ბიჭები:

— არაუშვას, ჭირჭირობით თქვენ
აინც წინა ხართ. ვფიქრობ, ჩენსო-

კოვი ხუთ-ექვს წუთში
გამოჩნდება და თქვენ
მეორე ადგილს დაიკა-
ვებთ. მაგრამ თუ შეიღ-
რვა წუთში ვერ მოვი-
და, მაშინ მესამე ად-
გილზე გამოხვალთ.

ბიჭებმა მოიწყინეს.
— რა იყო, — თქვა
მანსაველებელმა, — მე-
სამე ადგილიც საპრი-
ზია. არ მეგონა, თუ

ამასაც მიაღწევდით. მეტი ვარჯიში
იყო საჭირო. მარტო ერთი კაცი კი,
რაც არ უნდა კარგი მოთხილამურე
იყოს, მთელ გუნდს ვერ იხსნის.

— მაგრამ, მესამეზეც რომ ვერ გა-
მოვიდეთ?...

— ყოვლად შეუძლებელია, — აკიმ
პეტროვიჩმა წიგნაკში ჩაიხედა, — რვა
წუთში ყოველი ახალბედა მოვია.

ფომინმა წუნარად თქვა:
— შეიძლება ვასია ვერ მოვიდეს.

იგი დაცა და ფეხი იტიქანა.

— რაო, ფეხი იტიქანა?
— ჰო, დაღმართზე, მოსახვევთან.

ბირველად მან მე გამისწრო. მე და-
ვუყვიერე: „ნუ ჩქარობ, დალოდობი-
მეთქი“. მან ხელი დამიქინა და გზა
განაგარძნა.

— მერე?
— მერე კიდევ ვილაცას გაუსწრო,

მაგრამ მაშინვე შეანელა სვლა. აღ-
მათ, დაიქანცა. ამასობაში დაღმარ-
თიც დაიწყო. მოსახვევთან ვასია და-
იცა. მეც წავიციე. ვერ დავამუხრუ-
პე თხილამურები. მუსიევ წამოხვტი
და ვასიას შევუძახე: — დეკი-მეთქი!
ვასია წამოღდა და ფეხზე ხელი მოის-
ვა, — ვიტყინო, — თქვა. — მაშინ
უკან დავბრუნდეთ, — ვუთხარი მე, —
მოგწვევლები-მეთქი. — ხომ არ გა-
გიძლი, — მიყვირა ვასიამ, — მე აუ-
ცილებლად მივალ ფინიზამდე. მეც
აღარ დაველოდ. მდინარის გაღმი-
დან რომ მოვიხედე, ვასია უკვე სწორ
გზაზე მოდიოდა. მართალია, უჭირდა,
მაგრამ მაინც მოდიოდა.

ბიჭები მოიღუშნენ: — არ გავვი-
მართოდა, მესამე ადგილსაც ვერ ვე-
ღირებოთო. აი, გავიდა ხუთი-ექვსი
წუთი... კიდევ ორი წუთიც და, ყვე-
ლაფერი გათავდება.

— ბიჭებო, ვერა! თქვენი საქმე
კარგად ნეტა, ვასიას ფეხი უფრო არ
ასტივოდეს, თორემ შეიძლება გად-
მოვიდეს ტრასიდან და მაშინ გულს
შეჭიბრიბიდან მოსწინაა. თქვენი
ხსნა მხოლოდ სასწაულს შეუძლია.
„სასწაული“, — ეს სიტყვა მეხი-

ვით დაცა პეტკას. იგი შეკრაო, მას
სულ დაავიწყდა, რომ საკმარისია
ისწორებს და, სასწაულიც მოხდებნ.

— მიხდა, რომ... — ქოქმინით წა-
იხუტებუტა პეტკამ, — რომ... რომ
ვასია ჩენსოვსი გავიქანდეს ქარზე
სწრაფად... — პეტკას უღებ მოეშვა
გულზე და დაამატა:

— ათჯერ უფრო სწრაფად...

პეტკამ ტრასას გახედა და მოეჩვენა,
თითქოს ტრასაზე რალაც ლანდმა
გაიფედა.

„ჩენსოვოვია“ — გაიფიქრა პეტ-
კამ და ფინიზსაკენ გაიქცა. სიხარუ-
ლისაგან ლამის ყვირილი დაიწყო.
მაგრამ სხვები კვლავ მღვმარად იც-
ქირებოდნენ წინ. მოსახვევიდან სხვა
მოთხილამურეები გამოდიოდნენ, ჩე-
ნსოვოვი კი არსად ჩანდა. პეტკამ მი-
მოიხედა. უცებ თვალს მოკრა: მა-
ყურებლების ზურგს უკან, ოდნავი
კოჭლობით მოდიოდა ჩენსოვოვი.

— ბიჭებო, მოვიდა, მოვიდა!.. —
იყვირა პეტკამ და ჩენსოვოსსკენ
გაიქცა. ერთ წამს ყველანი გაოც-
დნენ. ხოლო შემდეგ ისინიც პეტკას
გაჰყვნენ უკან. არც ყვიროდნენ და
არც ხელებს იქნევდნენ, — ჩენსო-
კოს რომ მიუახლოვდნენ კითხვები
დააუპარეს:

— შენ საიდან გაჩნდი?
— ტრასიდან გადაუხვები, ხომ?

— ვასია, როგორა გაქვს ფეხი?





ყველა ერთდროულად ეციხებოდა და ვასიას არ შეეძლო პასუხი გაეცა რაცა ცოტათი მიწყნარდნენ, თქვა:

— რას ამბობ, მე ტრასიდან არ გადამიხვევია...

ისევ აუწყალდნენ. მაგრამ ამ დროს მოვიდა აქიმ პეტროვიჩი და ბავშვები დაჩუქმდნენ.

— მასწავლებლო, ესენი ამბობენ, რომ... რომ მე ტრასიდან გადავხვევი... მე კი რაღაც უცნაური რამ შემიმთხვა. მე...

— რას ჩაიციხებართო — მასწავლებელმა მრისხანედ გადახედა ბავშვებს და ვასიას მოუბრუნდა, — რაკი გადაუხვიე, ჩანს, ვიჭირა სვლა. ძალიან ბტკივა ფეხს!

— ფეხი კარვად მაქვს. ტრასიდან არ გადამიხვევია... აქიმ პეტროვიჩმა შუბლი შეიჭიმუნა.

— ჰო, კარგი. გვიამბე, რა შეიქმნება.

ვასია ჩენსოკოვი მოუხვა, თუ როგორ იტყინა ფეხი დაღმართზე და, ტკივილის მიუხედავად, მაინც განაგრძობდა სვლას. უკანასკნელ მოსახვევთან თბილამურებს თითქოს ფრთები გამოესხათ და ისე გამოაქანეს, მიწას არც კი ეხებოდა.

ბიჭებს ფრთების გაგონებზე გაეცინათ, ხოლო მასწავლებელი მივიდა ჩენსოკოვთან, შუბლზე ხელი დაადო და თქვა:

— ბავშვებო, ვასიას სიტყე აქვს.

გაიქცით და მსაჯთა მანქანა მოიყვანეთ.

— არავითარი სიტყე მე არა მაქვს — იყვირა ჩენსოკოვმა, მაგრამ არაინ არ დაუჭერა.

არავინ... პეტკას გარდა, რომელიც ცოცხალ-მკვდარი იღვკა. მხოლოდ მას შეეძლო ყველაფერი აეხსნა. მხოლოდ მას შეეძლო ჩენსოკოვის შევლა.

— ბიჭებო! — ამოთქვა პეტკამ ჩახლერილი ხმით, — ეს მე, ეს მე ვიჭადოქრე. ვასიას ნაამბობი მართალია.

ყველა სინანულით მიაჩერდა პეტკას. აქიმ პეტროვიჩმა შუბლზე ხელი გადაისვა. სიტყმე ჩამოვარდა. მხოლოდ ვიღაცის სლუქუნდა ისმოდა.

— საწყალი, — ტიროდა ნინკა ტი მოფივეთ, — ესეც ავადა. აღმათ გაცივდნენ; უფრო თბილად უნდა ჩაეცვათ.

— დამშვიდდით, ბავშვებო, დამშვიდდით, — თქვა მასწავლებელმა, — მანქანაში ვრობოზისთვისაც მოინახებდა ადგილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მანქანა ვასიასა და პეტკას საავადმყოფოსაკენ მიიქანებდა.

პეტკა ჩაფიქრებული იუფრებოდა სარკმლიდან. ჯადოქარი გულგრილობამ შეიპყრო: „მოხდეს, რაც მოსახდენია. აღარ მინდა ჯადოქრობა“.

უფროდ მანქანა გაჩერდა. შუქნიშანი წითლად აინთო. გამვლელიები ქუჩაზე გადადიოდნენ. პეტკა კვლავ

გულგრილად უყურებდა გამვლელებს. უნდა იგი ადგილზე შეტკნა. „ეს ხომ ის დედაბერია? იგივე მწვანე ზოლებიანი თავშალი, იგივე ჯიხი და ხელჩანსა“.

პეტკა ვამბობდა „პობიდედან“ და დედაბერისაკენ გაიქცა. ამ დედაბერის გამო ვანდა პეტკა ჯადოქარი. დავი, მანვე, როგორც უნდა, ისე წაართვას პეტკას ჯადოქრობის უნარი. ის იყო უნდა წამოსწროდა, რომ დედაბერმა მოულოდნელად მოხედა პეტკას, ჩახიხითთა, ჯიხი აქნია და წაცუხებოდა.


შუქნიშნის მწვანე თვალი აინთო. მანქანები დაიძრნენ, მაგრამ დედაბერი მაინც ვარბობდა.

— ვერ წამიხვალ, ვერ წამიხვალ, — უყვიროდა პეტკა და უფრო სწრაფად მისდევდა. მაგრამ ამ დროს ერთი დროადა ავტობუსი დაეჭახა. პეტკა დაეცა და... გამოეღვიძა.

დაიხ, ეს იყო სიზმარი. მე თავიდანვე ეჭვი შეპარებოდა ბევრ რამეში. მე ხომ ვიცნობ პეტკა ვრობილეს. იგი არასოდეს არ გადაიყვანდა ქუჩაზე დედაბერი და არც ხელჩანსის წაღებამის მიეხმარებოდა. პეტკა ასეთი კაცი როდა.

სხვათაშორის, ამბობენ, რომ პეტკა გამოიყვალა. ამბობენ, რომ ამას წინათ ვიღაცას ტრამვაიში ადგილი დაუთმო. არ ვიცი — მართალია თუ არა ეს. თქვენ რას ფიქრობთ?

თარგმანი მ. შაბაძისაგან.





ბავშვებო, თქვენ ალბათ გასოვო, ჩვენმა ტურნამბო მიმდინარე წლის პირველ ნომერში გამოაცხადა, ოქტომბრის სიცოცხლისტური რევოლუციის 50 და დიდი ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი, ნორა შემოქმედთა კონკურსი. კონკურსის გამოცხადებიდან დღემდე უამრავი მასალა მივიღეთ. მათგან საბრძოლველო კოლეგებმა, ტურნალში დასაბუთადა: 0-ი კონკურსში მონაწილეობის ღირსად სენო რამოდენიმე ნამუშევარი, რომელთაც ვჭევესნებთ ამ კონკურსისათვის სპეციალურად შექმნილ განყოფილებაში „პრონერტული კაბადონი“.

მჭიდროსა ბავშვებო, მოგვეჩრეთ თქვენი აზრი გამოქვეყნებულ ნამუშევრებზე, მიიღეთ მონაწილეობა მათ განხილვაში. გასოვდეთ, კონკურსის ეთერი დიდ ანგარიშს გაუწევს მიიხვედეთა აზრს.

ველოთ თქვენს წერტილებს და ახალ საკონკურსო ნამუშევრებს.

საქართველო

ჩვენი სოფელი დღე

მისაბ საღამოშილი,
ბილისის, მე-15 საშ. სკოლის
IV კლ. მასწაველი.

ჩვენს სოფელს, სადაც ჩემი ბებიც ცხოვრობს, გორისა ჰქვია. მე მოუთმენლად ველო ვოველი წაფხულის არღდაღებებს, რომ მივაშურო ვორისას, მის ღამაშ ველ-მინდვრებსა და ხაღებს, ანკაია ცივ წყაროს და, რაც მთავარია, ტულ-მეგობრებს. გასსაკუთრებით ღამაში და მომხიბლავია სოფლის დილა. დილით მზე რომ თავის ოქროსფერ სხივებს ამოადრქვევს, ირგვლივ საოცარი სიღამაშე იწლება. რა ღამაშად მოჩანს ეს სხივები ხეხილის ფოთლებში და მწვანედ მოხიბნიე ბაღა-ხებს შორის. ყოველ დილით მზის ამოსვლას ვასწრებ და დოქით ხელში წყაროზე გავრბივარ. რა კარგია ცივი წულით ხელ-პირის დაბანა!

—წია-წია-წია,—უხმობს პელო ბებია ქათმებს. რა სასაცილოა, როცა ამ ხმის გავრენაზე წიწილები კისრისტებით გარბიან საკენკის ასაკრფად.

შარავაშე იხმის ურმების პრიალი. ჩვენი სოფლის ბავშვებს ძალიან გვიყვარს ურმების სეირნობა; დავეკიდებით ხოლმე უკან და გვივარდის... „ბებო, არ ჩამოვარდეთ“,—გაფრთხილებს თეოფილე ბიძა. ჩვენ მათ პურის ძნების დაწყობაში ვებზარებით, რომლებმაც კალმეუტრნოების კალოზე ეციდებთან, იქედან კი ურმეშე დავსწდებით და სიმღერით მთა და ხარს ვაყურებთ. დილიდან საღამომდე არ წყდება ტრაქტორების გუფუნო. ჩემი ყველაზე ახლო მეზობელი და მეგობარი—გურბანია; ჩვენ სულ ერთად ვთამაშობთ და ვსაქმობთ. აი, გავრბივართ მახლობელ ყანაში გო-

ბებისათვის ბაღაბის მოსატანად.—გოტებს „ღინჯა“ და „ხვართქა“ უყვართ,—მასწავლის გურბანი. მეც მას ვეუხიბრები და სასწრაფოდ ვაგსნებთ კალათებს. შემდეგ სიამოვნებით ვტყვერით, როგორ მიირთმევენ პატარა „ღუტუნები“ გემრიელ საუწმებს. განსაკუთრებით კარგია დილით ადრე სოკოზე წასვლა. ნანათლი არც კია, რომ ტუჩსკენ მივეშურებით. მთელი ტყე ნამიანია. დედა მიზარებს—შორს არ წახვიდე, თორემ დაიკარგებიო. ბებესა და ბუჩქებს შორის დაკუწული დავჭრებო. „გარყა“, „მუაღა“, „მიქლიო“, „ხახვილო“... რამდენი სოკოა ტყეში! კალათებს ავავსებთ და გაუწუწული გამოვდივართ ტყიდან.

ვიღიანე ბახუა თითქმის ას წელს არის მიღწეული, მაგრამ შრომისადმი ხალისი იგი სიყვარული ჯერ არ დაუკარგავს. სისხამ დილით იგი მხარზე თხვადებულ სიცალღებო ბილიკით მიდის ბოსტნის გასამარგლად. რა კეთილი და სათნო სახე აქვს მას, როგორ გვიყვარს იგი ყველას.

ასე მომხიბლავია ჩვენი სოფლის დილა. საღამო კი... საღამოც ასევე წარმტაცია. ამოდის მთვარე და ჩვენი სოფლის მარცხენი თათქო მთის წვერზე დგება. ბებთან მითხარა:—იმ მხარეს, სადაც მთვარე მოჩანს, სოფელი ხახოლიაო. მე და გურბანს ასე გვეგონია—იმ სოფელში რომ წავიდეთ, მთვარეს ხელით მივჭედებთ. მთვარე ძალიან ახლოს გვეჩვენება. სულ ახლოს. ჩვენ ვოცნებობთ და ამ ოცნებებს დასასრული არ უჩანს.




მანანა შიშინი,
54-ე საშ სკოლის IV კლასის
მოსწავლე

გასული წლის სექტემბერში რგოლის ხელმძღვანელად ამირჩიეს. ჩემს რგოლში თორმეტი ბიონერია. ჩვენ, მესამე რგოლის წევრებმა, მაშინვე მოვიწყვეთ რგოლის შეკრება და მოვილაპარაკეთ, როგორ წარგვემართა მუშაობა. შევთანხმდით, მეორე დღისათვის ყველას თავისი წინადადება წარმოედგინა. იმ დღეს წესიერად არ მიინებია; მეორე დღეს თითოეუ 10-10 წინადადება მიიტაცწაოაყენა, ხოლო დათომ მთელი რვეული მოიტანა ასეთი წინადადებებით: ჩვენმა რგოლმა მოვაშენოთ კურდღლები, მოვაშინაუროთ დათვის ბეღი, ჩამოვაყაპოთ კოსმონავტების კურსები, ზეფიწვიოთ ნანა ალექსანდრია, შეგქმნათ ილია დითუნაშვილის სახელობის კუთხე („კუთხურთან“ დაკავშირებით).

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ: პირველ ყოვლისა, მოგვეშაღებინა დიდი, ლამაზი ალბომი წითელი არმიისა და საქართველოში სიბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავთან დაკავშირებით. მისი გაფორმება დავავალეთ თამარიკო სახაროვას, რომელსაც ხატვა ეხერხება, ხოლო მასალების მოტანა მთელმა რგოლმა აკისრა. მე მეგონა, ჩვენი ბიჭების ჩანა რგოლის საქმიანობაში გამიჭირდებოდა და ვანსაკუთრებულ ი ზომების მიღება დამჭირდებოდა, ვინაიდან სულ ბურთს არიან გადაყოლილნი. მაგრამ პირიქით მოხდა, — მათ მზადყოფნა განაცხადეს და კოსმონავტებზე მასალების შეგროვება თვითონ აკისრეს. მათივე დახილებული თხოვნით ქილაობაში გამოვიწყვეთ პირველი რგოლის ბიჭები (რგოლის ხელმძღვანელი შობა ბენიაშვილი). გადაწყდა აგრეთვე, რომ 25 თებერვალს ჩვენს რაზმთან

ერთად მონაწილეობა მიგველო საზეიმო დღეაში. ეს ყველაფერი ჩვენ შევასრულეთ. გამოვეშვით იუმორისტული კედლის გაზეტი „ტინჯარი“. ჩვენი რგოლის წევრს—მარინე ჭეიშვილს ისეთი თვლი აქვს, არაფერი არ გამოეპარება და, როგორც ჩანს, ბერეს დაესუსხავთ.

ამას წინათ ჩატარდა რაზმის შეკრება (რაზმის ხელმძღვანელი ვაია ასიტაშვილი). ლამაზა ბიონერხელმძღვანელმა და ჩვენი კლასის დამრიგებელმა მარგო საჯაიამ ბავშვების აკადემიურ მოსწერებაზე და ყოფაქცევაზე ილაპარაკეს. მისხარია, რომ ჩემს რგოლს ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლები არა აქვს. (ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე გვეყავს, მაგრამ აქ არ დავახელებ, რაკი სიტყვა მომცა—გამეგსწორდებით). სიტყვაში მეც გამოვედი. პირობა დავდე, რომ უკეთ ვისწავლით, ავამალლებთ რგოლის მაჩვენებლებს და სოცშეუბრბოში გამოვიწვევთ II რგოლს (რგოლის ხელმძღვანელი დარიჯან ვეფხვაძე). ბოლოს, მე ვთქვე:—ბალ-ლონეს არ დავზოავთ, ჩვენ გავიმარჯვებთ-მეთქი. ბიჭებს გაეცინათ,—ალბათ იფიქრეს, ამას რა ბალ-ლონე აქვსო. რა გენა, როგორც ჩანს, ბიჭებთან აღმზრდელიობით მუშაობა უნდა ჩავატარო.



მოსწავლეობის
და

მარინე მთვრელიძე,
ქობულეთის რაიონის
სოფ. ქობულეთი.
VI კლასი.

გზაფუხელი

ვინ თქვა, გულში თითქოს აღარ ჰყვავის ნუში. არ ფარუატებს ფანტელები გაზაფხულზე, მაშ, რა არის კვირტის ახლად აფეთქება, უღვაში რომ ამწყვანდება მიწის გულზე...

გაზაფხულის ჭრელი ცეცხლი მოედებათ ბაღა-ბაღში მოგზავიზე ღამაზ ატმებს, სიჭაბუკის დგება ეკამი საოცნებო, გაზაფხული ყვავილების კოცონს ანთებს.

გაიღვიძებს ენძელა თუ ხარისთვალა, თვალს გაახელს არემარე განაზული. მზის აღმურში გაუგებია ცა და მიწა, გაიღვიძებს სანატრელი გაზაფხული.

დალი მაზმიშვილი,
ქარელის რაიონის სოფ. ღარბის
ნაშ. სკოლის მოსწავლე.



და-ძმა

დ. და პ. შურაშიძელები, აბაშის მე-2 საშ. სკოლა.



ბები, ბები, ბებია,
უი, ჩავძინებია!
ზღაპარს ახლა მე ვეტყვი:
ცხრა მთას იქით მთებია,
იქ ბიჭია მალხაზი,
პყავს წიქარა—ნიკორა
ყველა, ძუნწი, ბორბოტი—
იყო, არა იყო რა.
მზის ქალს ერთი ბებო პყავს.
სულ შენსავით კეთილი,
ძილში ჯავრად არ ჩავყვეს
მზადა მაქვს გაკვეთილი.

კობა ქალანდაძე,
ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის
III კლ. მოსწავლე.



მ მ ტ მ ა ნ ა



მე ვუმღერო

მე ვუმღერ ენგურს, არაგვს და ჭაზისს,
მცხეთის ჯგერის ფრესკებს, მარტვილს და ბოლნისს,
დაწურულ ბადაგს კახური ვაზის,
ნანატრ სიმწვანეს ოდიშის მოღის.
მე ვუმღერ არმაზს, გორსა და ატენს,
სხივმნათ მამულს და ქართლის შვილობას,
რუსთაგის ფოლადს, გუგუნა მარტენს,
ინდუსტრიალურ მხარგაშლილობას.
მე ვუმღერ ზღვაში აფრების ტყაცუნს,
დიდი გემების ხვავს და ბარაქას,
ოცნების ჩქერებს, სიციცხლეს კაცურს,
ქორწილს, ძეობებს სოფლად, ქალაქად.
მე ვუმღერ წინსვლას, ახლის ძიებას,
ჯან-ღონით სავსე გულების ფეთქვას,
და დედა-მხარეს ვთხოვ პატივებს,
თუ უკეთესი სიმღერა ვერ ვთქვა.



თუმცა არ მასივს ორმოცდერთი,
ტყვილი მისი მაინც მაწვავებს,
და თვალწინ მიდგას ღრუბლები დენთის,
და თვალწინ მიდგას აღმდგარნი მკვდრებით
გმირები, თავი რომ გვანაცვალეს.
მე თვალწინ მიდგას ყურ აკლდამები,
მიწა—ნაპოხი მჩქეფარე სისხლით,
შინმოუსვლეელი ჩვენი მამების
ნათელი ხსოვნის გაუკვდავების
ოხელისკები—დიდების ღირსი...
და უსაზომო პროტესტით სავსე,
ნორჩთა სახელით ვაცხადებ ასე:
--- ჩვენ ვართ ათასნი, არმია მთელი,
არა ნერვების და არა ომების,
ჩვენ ვართ მომავლის ხასხასა ტყერი
და ულუმბოელი, მშეინვარე მტერი—
იმ სასტიკ დღეთა განმეორების!
რაულ ჩილაჩავა,

ზუგდიდის რაიონის სოფ. ძველი აბასთუმანის
საშ. სკოლის მოსწავლე.

მია ბულაძე,
8 წლის.
თბილისი.

ამაჲი ვასაძე.
სსრკ სახალხო
არტისტი



სიტყვა აქტიორი შეესაბამებოდა.

სახიობა ნიშნავს სახით მოქმედ ადამიანს, ისევე, როგორც აქტიორი — მოქმედ ადამიანს.

მსახიობი (აქტიორი) თეატრის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. როგორც ცნობილია, თეატრი განისაზღვრება სამი ელემენტისაგან: ავტორის, მსახიობისა და მაყურებლისაგან. შეიძლება იყოს ავტორი, იყოს მაყურებელი, მაგრამ თუ მსახიობი არ არის, არ შეიძლება იყოს თეატრი; შეიძლება აყოს ავტორი, იყოს მსახიობი, მაგრამ თუ მაყურებელი არ არის, თეატრიც არ იქნება; ხოლო, როცა არ არის ავტორი, მაგრამ არის მსახიობი და მაყურებელი, თეატრი არის. მანასადამე, თეატრის მთავარი ფიგურა — მსახიობია.

პიესის ავტორი თავის აზრებს მსახიობის საშუალებით გადასცემს მაყურებელს. ეს უკანასკნელიც მსახიობის მიშვეობით აღიქვამს ავტორის იდეებს. მსახიობის მიერ წარმოდგენილი პიესის შთაბეჭდილება სხვა არის, ვიდრე წაითხვით მიღებული შთაბეჭდილება. როგორც მუსიკაში, კომპოზიტორის მიერ დაწერილი ნოტები თუ არ უსრულდება რომელიმე ინსტრუმენტით, მუსიკას ვერ აღვიქვამთ, ამავე — თუ პიესის გამოჩენი მსახიობის მიერ არ იქნა წარმოდგენილი, ამ გამოჩენის სახეს სრულყოფილად ვერ ჩავერგდებით, — მარტო წაითხვით პიესა ძნელი სათვინებელია.

მსახიობი დროის გარკვეულ მომენტებზე, გარკვეულ იდეების შესაბამისად ახასიათებს რეპერტუარს, თავისებურად წარმოვიდგენს გმირს, თავისი დროის ელემენტით მოსავს მას, მაგრამ ავტორის ვაზარების ძირითადსაზღვრებს არ სცილდება. მაგალითად, როცა ლაპარაკია ელასიკური რეპერტუარის განახლებაზე, ეს ნიშნავს მეტონი დროის მოწინავე ადამიანის სულიერ ცხოვრებამდე მის ახალდებას, რაც მსახიობის შემოქმედებით შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ მსახიობმა ელასიკური რეპერტუარი განახლოს, ის უნდა გამოიწვიოს თანამედროვე რეპერტუარში. თანადროულობის სულისკვეთების მუხაირაღმტრე თეატრში, ავტორთან ერთად, მსახიობიც უნდა იყოს. თუ მსახიობს არა აქვს სიახლის გიძნობა, ის ვერც თანამედროვესა და ვერც ელასიკურ რეპერტუარს ვერ განახორციელებს, მხატვრულად ჩამორჩება, ვანვლილი, წარსული შემოქმედების შონა ვახდება და თეატრში წამყვანი შემოქმედის როლს ვერ ითამაშებს. ე. ი. მსახიობისათვის აუცილებელია არა მარტო ბუნებრივი აქტიორული ნიჭი, გარეგნობა, ლამაზი ტემპერი, სუფთა დიქცია, ტემპერამენტი, მუსიკალური სმენა, არამედ — ფართო, მრავალმხრივი ვაზთულება.

მსახიობად იბადებიან, მსახიობობის სწავლა შეუძლებელია, მაგრამ სამსახიობო ტექნიკა ისწავლება და მსახიობი ვალდებულია ისწავლოს იგი, თუ სურს აჯობოს იმ გლეხს, რომელსაც ტომარაში ცოცხალი გოჭები ჰყავდა და დამალული და მსახიობს ვაეცებოდა გოჭის ჭყვილის გამოცემაში. მიუხედავად იმისა, რომ გლეხი ნამდვილ გოჭებს აუკვირებდა, მაყურებელმა უპირატესობა მსახიობს მიაკეთებდა, ისე მხატვრულად და დამაყურებლად ბაძავდა იგი გოჭის ჭყვირის.

მსახიობი უნდა მომზადდეს, უნდა აღიჭურვოს სასცენო ტექნიკით — მეტყველებაში, პლასტიკაში, უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, ვინაიდან მსახიობი თვითონ არის თავისი თავის ფუნქცია და ტილოც. მისი პიროვნება უნდა გაქრეს პიესის გმირის სახეში, ე. ი. უნდა გაურღიასხოს; ამიტომ, მარტო ფიზიკური ვარჯიში როდი ემარა, საჭიროა სულიერი ვარჯიშიც.

სულიერი ვარჯიში ნიშნავს იმას, რომ ვკითხულობთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებს, ვუსმენთ საუკეთესო მუსიკას, დავდივართ საუკეთესო სამხატვრო ვალერეებში, ვმუყურებთ საუკეთესო სპექტაკლებს, ყურადღებით ვაკვირდებით თეატრში უფროსი თაობის შემოქმედებს, არც ერთ საზოგადოებრივ ღონისძიებას არ ვაკლდებით, ჩამბეჭდო ვართ ცხოვრების ფერხელში, რათა თანამედროვე სულისკვეთება შევიპისსლობოროყოთ. დრმად ვგრძნობდებ ცხოვრების მაისცემას... თუ რაოდენ ზეგავლენას ახდენს მსახიობის შემოქმედებით ზრდაზე ცხოვრებისეული მოვლენების დრმად აღქმა. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი:



მსახიობი



1926 წელს, ცნობილი გერმანელი მსახიობი სანდრო მოისი მეორეჯერ ეწვია საგასტროლოდ მოსკოვსა და ლენინგრადს. 1912 წელს, პეტროგრადში, ცნობილი ჩინიზელის ცირკში, მაქს რეინჰარტის მიერ დადგმულ სპექტაკლში მან თამაშა ოიდიპოსის მეფე. მისი თამაშით მოინიშნა მისწინდელი თეატრალური საზოგადოებმა. მოისის ამ წარმადგენის მომსწრეებმა, 1926 წელს, მოსკოვში, შეიჯერდნენ იხილეს მოისი ამავე როლში, და ერთხმად გამოთქვეს აზრი, რომ მოისი წინანდელთან შედარებით არაჩვეულებრივ მხატვრულ სიმაღლეზე იდგა. შეკითხვაც მისცეს: რას ნიშნავს, რომ თქვენ ამჯერად ასე სრულყოფილად გადმოგვეცემთ ოიდიპოსის სახესო. მან უპასუხა, — თითქმის ყოველდღე თვალწინ მედგა 1922 წლის ვოლგისპირეთის მცხოვრები ადამიანების შიმშილობა, გაჰქირებდა, რაც დიდად მოქმედებდა ჩემი ოიდიპოსის შინაგან ცხოვრებაზე. მილიონების ამ ტრაგედიულმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა ჩემს მიერ ოიდიპოსის შეარქულებაზეცო.

არსებობს მსახიობის აღზრდის ორი სკოლა: ერთს ეძახიან განცდის სკოლას, მეორეს — წარმოდგენის სკოლას. განცდის სკოლის მამამთავრებდა რუსეთში ითვლებიან — შჩეკინი და სტანისლავსკი, საქართველოში — გ. ერისთავი და ვ. აბაშიძე, წარმოდგენის სკოლისა კი — რუსეთში კარატეინი, უცხოეთში — კოკლენი, საქართველოში — კ. მენსი. ამ ორი სკოლის სინთეზის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: კ. მარკანიშვილი, ვ. მეორხოლდი და ვახტანგოვი.

განცდის სკოლის მსახიობი ნამდვილად უნდა განიცდიდეს და არა — განცდის ილუსტრაციას აცეთხედეს, როგორც ამას წარმოდგენის სკოლის მსახიობი აცეთხებს. თუმცა, წარმოდგენის სკოლის მსახიობმა ერთხელ მაინც უნდა განიცადოს როლი, რომ ყოველ საღამოს ეს გან-

ცდები წარმოადგინოს; ასევე, განცდის სკოლის მსახიობმა, წარმოდგენის საღამოს, განცდა უნდა გამოიწვიოს და თვდავიწყებაში არ გადაეშვას.

როდესაც თეატრალურ განცდაზე ვლაპარაკობთ, ვკულისხმობთ ემოციას, ანუ გამოწვეულ გრძობას. ნამდვილი გრძობისა და გამოწვეული გრძობის შარბინიერი სინთეზი მსახიობის საშუალებას აძლევს წარმოადგინოს მხატვრული სახე.

თუ როგორ უნდა განსახიეროს აქტიორმა როლი, ან როგორ უნდა იმუშაოს როლზე, ამის შესახებ აი. რას ამბობს ქართული რეალისტური სკოლის მამამთავარი ვასო აბაშიძე:

„ვისაც სურს სცენას ემსახუროს, უწინაოეს ყოვლისა, უნდა გამოიკვიროს და შეიგნოს, რას შეადგენს მსახიობის ხელოვნება.“

მსახიობის ხელოვნება იმას შეადგენს, რომ თავისი გარეგნობით წარმოადგინოს ის აღმანი, რომელიც ავტორისა ჰყავს პიესაში გამოყვანილი. ამიტომ, მსახიობმა თამაშის დროს უნდა დაიფიქროს, რომ იგი მსახიობია და მხოლოდ გაიგონოს და დაგვიხატოს ავტორის მიერ შექმნილი ტიპი.

ამისთვის საჭიროა, ყველამ, ვისაც კი სურს სცენას ემსახუროს და მსახიობი გახდეს, შეიმუშაოს: ა) მიზრამოხრა, ბ) ხმა, გ) მიმოყა, ე. ი. ის საშუალებანი, რომლითაც მსახიობი მათურებელზე მოქმედებს.

თუ კაცი განვიხარებულე არ არის, რასაკვირველია, ვერც ვერას შეიგნებს და, თუ წაკითხული ვერ შეიგნეი, ვერ გაიგე, — უემქველია, ვერც წარმოადგენ კარგად.

უსწაველისა და მოუზნადებელ კაცს, რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყოს იგი, უქმად ჩაუვლის ნიჭი; იმის ნიჭი წარმოადგენს მხოლოდ კარგ მასალას მშენიერის სსახლის ასაგებად; მაგრამ მარტო მასალადან რა



ვახტანგ ვაშაძე — იმდროინდელი (კ. გულაშვილის „ურბილდ აკოსტა“)



შალვა ჩაქავა — უმარცხვარი (ბ. კაკაბაძის „უპარუყარი თუთუბერი“)



აბა აბაშიძე — უმარცხვარი (ბ. ჩიჩხაძის „გამარჯებულნი“).



მომრბი კახხიძე

ვბრუნდებით...
 ღურჭად ბინდდება,
 ისევ საამო დარია.
 როგორ არა ვთქვათ, რა ვნახეთ,
 საიდან მოგვიხარია!

დიდხანს გეცოფოვა საამზოდ
 ჩვენი მგზავრობის ზღაპარი;
 ბიძინა მასწავლებელმა
 სულ მოგვატარა მთა-ბარი.

დიდადრიან გავედიო
 დიდ ხევთან თამაშ-თამაშით,
 ჯერ ვიტრიალეთ კარგა ხანს
 იქვე, ბერმუხის ჭადაში.

შემდეგ თეთრ კლდეზე ავედიო,
 აგყვავა სიმხნე და სიმარნე,
 იქ ვნახეთ მამა-პაპათა
 ნაგები ცხე-სიმაგრე.

რა ნაშენები ყოფიდა,
 რა ქვა-ღულაბით შეკრული,
 ის ჩვენი მხარის გუშაგი,
 ჩვენი მთა-ბარის ერთგული!

იქიდან ნახირს დახვედეთ,
 ნელ-ნელა მისკენ დაეშვირეთ,
 მწვემსებს ვენვიეთ, უამაო...
 შუქი ჩაუდგათ თვალებში.

მამაშვილურად მიგვიღეს,
 გული გვაჩვენეს ნათელი,
 ენა აუდგეს სადამურს,
 ჩვენც გვათქმევინეს სათქმელი.

ვამზობდით: ეს დღე, ხალისი—
 ჩვენია, ჩვენებურია.
 იქვე მწვანეზე გორავდა
 გახარებული მურიი.

მარჯვნივ და მარცხნივ ფერდობზე
 ნებიერად სძოვდა ნახირი,
 მზე ფერმას ადგა გვირგვინად,
 დასავედეთისკენ დახრილი.

ის მშობლიური მიდამო
 გვიხმობდა დიდი ხანია...
 ახლა იქიდან მოვედივართ,
 იქიდან მოგვიხარია!

გამოვა, თუ კი სასახლის აშენებას ვერ მოახერხებ. რამ-
 ლენჯერ გავვიგონია და გვექმის: ბუნებით ნიჭიერი ყმა-
 ელია, მაგრამ განვითარება აკლიაო“.
 მსახიობის შემოქმედებაზე იმდენი ლიტერატურაა,
 რომ ეს ჩემი მცირე ნათქვამი მსახიობის შესახებ წვეთი
 არ არის ზღვაში. მე კმაყოფილი დავრჩები, თუ ეს პატა-

რა წერილი ბიძგს მისცემს ნორჩ თაობას, მოიძიოს მსა-
 ხიობის ხელოვნებასა და მუშაობაზე არსებული მდიდარ-
 ი ლიტერატურა, რომ უფრო ღრმად ჩასწვდეს სამსა-
 ხიობო ხელოვნების არსს. უსასრულოა აღმანიის სიყ-
 ვარული ამ ხელოვნებისადმი, ისევე, როგორც ეს ხელო-
 ვნება თვით აღმანიწია უსასრულო..



ლადო მისიწვილი — კამლიბი
 (უ. შექსპირის „ჰამლეტი“).

ვასო აბაშიძე — პარაპება
 (გ. ერისთავის „გურა“).

ქართული
 ლიტერატურის
 კლუბი

გაყვანილი გზებით

სხილავი მღვდანი

— გემსის? — ჩურჩულით იკითხა ნუკრემი

— რა გააწყალე გული! — გაწყრა მზისაგარი, მერე ნუკრის მიუახლოვდა და უთხრა:

— რატომ მაშინებ?
— არც მიფიქრია, — იწყინა ნუკრემი, — განა შენ არაფერი გემსის?
— არა.

ნუკრემ მრავალმნიშვნელოვნად გააქინა თავი და ჩაფიქრებულმა განაგრძო გზა.

ფრთხილად მიიწვედნენ წინ ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოსახვევი მთულოდნელობით იყო სასვე. ფარნის მრგვალ მუქზე ხან რა გამოჩნდებოდა და ხან რა სქალაქტივებდა ჩამოღვენითილ მარიალებს სწირად ისეთი ფანტასტიკური ფორმა ქორნაოთ, რომ ვრუხბელი უკნლიდათ ბავშვებს. ზოგი სქალაქტივითმაგაწევილ ჯადოქარს ჰგავდა, ზოგი — გოლიათ ცნოვლია. ზოგს სწორი ფორმა ჰქონდა და ძალიან ჰგავდა მინიატურულ მუშუნას.

— მართლა მოგესმა რამე, თუ იხუმრე? — იკითხა ვიტალიმ, როგორც კი ნუკრის წამოეწია.

— რა მესუბრებოდა, — შიშნარევი სერიოზულობით უპასუხა ნუკრემ, — ასე მგონია, თითქოს ვიღაცა მოგვდევს.

— შიშს დიდი თვალები აქვს, — ავტორიტეტულად განაცხადა გიგომ, რომელმაც ყველაფერი გაიგონა. მაგრამ არ უნდოდა უსაბოგონო გრანობები გამკლიერებულყო.

გამოქვამული თანდათან დაღვიწროვდა. წრისებრი თალი ჯერ ოვალური გახდა, შემდეგ კედლები წელში გაიშართნენ და წვერწყვეთილი სამკუთხედი შეჭარეს. კირქვიანი ნიადაგი გრანიტისა და ბაზალტის ქანებმა შესცვალა. ნახარებიდან აღარ თნახვდა წყალი და შედარებით სიმშრალე იყო სქალაქტივების

ტყე უკან დარჩა. კედლებმა სწორი გეომეტრიული ფორმა მიიღო და გამოქვამული დერეფანს დაესვაგნა. გახშირდა ნახარლები.

ნუკრი ბოლოდან შესამე მიდიოდა; აკვიატებული აზრი მისევენებს აღარ აძლევდა. მალიზა იყურებოდა უკან, სინელებში. გარკვევით ემსხრა მსუბუქი ნაბიჯების ხმა.

— ფრთხილად იარეთ! — მოისმა წინიდან.

ბავშვებმა ნაბიჯს უკლეს. ხელისფათურით მიიწვედნენ წინ. ნაპრალებთან შემოსავლეს ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ და გადასასვლელებს აქვთებდნენ. გიგი თვითონ ამოწმებდა გადასასვლელის სიმაგრეს, მერე პირველად გოგონს გაატარებდა, სულ ბოლოს ზვიადი გადადიოდა.

— შესდექ! — გაისმა სიბნელეში გიგის საიტყვად დაბოზებული ხმა.

ზვიადმა დრო იხელთა, წინ გაატარა და ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— რა მოხდა?

გიგიმ პასუხის ნაცვლად ფარნის მუქი ააყლა შეველად აპართულ კედელს და გაიფიქრა: ნუთუ შევცდი, ნუთუ სხვა გზით უნდა წავსულიყავით?.. არა მგონია. ლურჯი ისარი ყოველთვის ჩრდილო-დასავლეთს მიჩვენებდა. არა, შეველომა არ დამიშვია. მაგრამ, გაითვ გამოქვამული საერთოდ არ გადის მეორე მხარეზე? მაშინ რაღა გქნა?

ამაღლ დაცოცავდა ფარნის მრგვალი მუქი ხორკლიან კედელზე. მოწონილის ნახარავი კი არსად აჩნდა. იგი თანდათან ვიწროვდებოდა და ბოლოს სიშავეში



იკარგებოდა. ჩამოცხა, პაერი დამძიზდა და ჩამოიხუთა.

— აქეთ, ბავშვებო, აქეთ, ჩემს მუქს გამოჰყავთ! — გაისმა სიბნელეში ზვიადის ხმა. — აქ კიბისმაგარი რაღაც უნდა იყოს.

ბავშვებმა ზვიადთან მიიბრინეს, შემოხვივნენ და განცეფრებული ათვალურიებდნენ კლდეში გამოკეცილი მაღალ საფეხურებს, რომელიც კაცის სიმაღლეზე იყო გაჭრილი და ამიტომ ვერ შენიშნეს თავიდანვე. უხედი ერთი კაცი ძლივს დაეტეოდა. შეველად აღმართული საფეხურები ლოდის თავზე გადადიოდა და ითხუთხა ღრმულში უკინარდებოდა.

— რაღას ვდგევართ? — იკითხა გიგომ, — შიდი, მომხმარეთ.

ერთმა ერთი ფეხი დაუმაგრა, მეორემ — მეორე, მესამემ ხელები შეაშველა და, როგორც იქნა, პირველ საფეხურზე შესვეს. გიგომ ფრთხილად აიარა კიბეები და კვებ შეველად აღმართული ლოდინად გამოძისასა აშხანავებულ:

— ამოდი, აქ გასასვლელია.

* გაგრძელდება. იხ. „პიონირი“ № 5.

რიგრიგობით ავიდნენ ბავშვები ვიწრო კიბეზე და შესასვლელთან შედგნენ. ნუკრიმ და ვიტალიმ ფარნები მიაშუქეს. გამორჩადა ვიწრო დერეფანი. დერეფანს აშკარად ეტყობოდა, რომ ხელოვნურად იყო გაჭრილი. კედლებს გარკვევით აჩნდა მჭრელი იარაღის ნაპრალი. იატაკიც მოსწორებული იყო. გიგა პირველი შევიდა დერეფანში და დანარჩენებს ანიშნა — მოწყვეით. სიწყნარეს შიშოლოდ ფეხის ხმა და წყლის ჩხრიალი არ დევნა. ხმა ეგვიბიდან მოდიოდა და დერეფანს გასდევდა. დერეფანი ლარივით სწორი და სხვადასხვა სიმაღლეზე გაჭრილი იყო. ბავშვებს ხშირად უხდებოდათ კიბეებზე ასვლა. აქ კიბეები მოხერხებული, ფართო და უფრო კარგად შენახული იყო. ერთ დერეფანს მეორე სკვლიდა, მეორეს მესამე და ასე დასურულებოდა. სულ ბოლოს, ერთ ყველაზე გრძელ დერეფანში, ღრმა ჭა იყო. გიგამ ფარნის შექვი ჩააყლა ჭის სწორ კედლებს და ძირი გაანათა. ყალყზე დაშარბამ მოკლევარანამა შუბებმა ეშვებეგით გაიღვეს სინათლეზე. შეშინებულმა ბავშვებმა უკან დაიხიეს და

გაფითრებულებმა ერთმანეთს გადახედეს.
— როგორ მოექცეთ? — იკითხა ზვიადმა.

